აღნიშნული განაცხადი ეხება, ქალაქ თბილისში, მონასტრის ჩიხი №10 - ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.04.028.117), 28/07/2023 - ით დათარიღებული, განაცხადის ნომერი AR1944152 - ით და ბრძანება №6587533 - ით შეთანხმებული სასაწყობე დანიშნულების შეთანხმებული პროექტის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვისა და მისი შემადგენელი ეტაპების ძალადაკარგულად გამოცხადებას, შეჩერებას.

ჩვენ მიერ, აღნიშნული პროექტის კორექტირება, რომელიც თავისთავად გულისხმობს, მოქმედი, ბრძანება #6587533 - ით გაცემული ნებართვის შეჩერებას, ატვირთული გვაქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, 14/09/2023 რიცხვში, განაცხადის ნომრით - AR1989641. გამომდინარე იქიდან, რომ რადიკალურად იცვლება პროექტის შინაარსი, ამიტომ, გთხოვთ, რომ წინა გაცემული ნებართვა და მისი შემადგენელი ეტაპები, იყოს შეჩერებული. წინა ნებართვით გათვალისწინებული სამუშაოები და შესაბამისად, სამუშაოებით გათვალისწინებული ეტაპები ჩვენ მიერ არ იყო განხორციელებული, ვინაიდან და რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტს რადიკალურად მოუწია ცვლილებამ და ამიტომაც მოგმართეთ განაცხადით კორექტირების შესახებ, 14/09/2023 - ში, განაცხადის ნომრით - AR1989641. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და ბრძანება #6587533 - ით გაცემული მშენებლობის ნებართვა შეგვიჩეროთ. მადლობა.